

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ ივლისი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 1242,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029) და ქ. ბათუმში, შალვა დადიანის ქ. №3ა-ში არსებული 87,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.013) კონფიგურაციის რაციონალურ ცვლილებასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 04 მაისის №194010 (კანც. №06-1421133610-03; 13.05.2021წ.) წერილი, რომელიც ეხება შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445539524) წარმომადგენლის (დირექტორი) დემურ დიასამიძის (პ/ნ:61001029125) მიერ წარდგენილი №882021273952 სარეგისტრაციო განცხადების მიხედვით, უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას და 2021 წლის 02 მაისის №191600 (კანც. №19-1421133410-03; 13.05.2021წ.) წერილი, რომელიც ეხება შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445539524) წარმომადგენლის (დირექტორი) დემურ დიასამიძის (პ/ნ:61001029125) მიერ წარდგენილი №882021273889 სარეგისტრაციო განცხადების მიხედვით, უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 05.29.23.013) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას. ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 1070,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.29.23.022) და ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 173,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.29.23.024) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გასხვისებული (პრივატიზებული) იქნა აუქციონის წესით. შემდგომში გაერთიანებული 1242,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი №05.29.23.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია შპს „პ08“-ს საკუთრებაში. ხოლო ქ. ბათუმში, შ. დადიანის ქ. №3ა-ში (ყოფ. მაიაკოვსკის ქ. №55/17) მდებარე 87,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით აღიარებული იქნა ტარიელ ჩიხლაძის საკუთრებაში. (საკუთრების უფლების მოწმობა №2344, 30.05.2013). 2021 წლის 19 თებერვალს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445539524) საკუთრების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ქ. ბათუმში, შალვა დადიანის ქუჩის გაფართოებისა და ტროტუარის მოწყობის სამუშაოები, რისთვისაც საჭირო გახდა შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445539524) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029; 05.29.23.013) ნაწილის გამოყენება, გამომდინარე აქედან კი აღნიშნული მიწის ნაკვეთების რეგისტრირებული საზღვრების ცვლილება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოებიდან გამომდინარე, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა განხორციელდეს შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445539524) საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 1242,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029) და ქ. ბათუმში, შალვა

დადიანის ქ. №3ა-ში მდებარე 87,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.031) კონფიგურაციის რაციონალური შეცვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 51-ე და 52-ე მუხლების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ქალაქ ბათუმში მდებარე შიდა სატრანსპორტო გზის, შალვა დადიანის ქუჩის გაფართოების და ტროტუარის მოწყობისათვის საჭიროებიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 1242,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029) და ქ. ბათუმში, შალვა დადიანის ქ. №3ა-ში მდებარე 87,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.013) კონფიგურაციის რაციონალური შეცვლა.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ამ განკარგულების შესრულების მიზნით გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლო-ში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30), მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 1242,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029) და ქ. ბათუმში, შალვა დადიანის ქ. №3ა-ში არსებული 87,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.013) კონფიგურაციის რაციონალურ ცვლილებასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 04 მაისის №194010 (კანც. №06-1421133610-03; 13.05.2021წ.) წერილი, რომელიც ეხება შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445539524) წარმომადგენლის (დირექტორი) დემურ დიასამიძის (პ/ნ:61001029125) მიერ წარდგენილი №882021273952 სარეგისტრაციო განცხადების მიხედვით, უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას და 2021 წლის 02 მაისის №191600 (კანც. №19-1421133410-03; 13.05.2021წ.) წერილი, რომელიც ეხება შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445539524) წარმომადგენლის (დირექტორი) დემურ დიასამიძის (პ/ნ:61001029125) მიერ წარდგენილი №882021273889 სარეგისტრაციო განცხადების მიხედვით, უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 05.29.23.013) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას. ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 1070,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.29.23.022) და ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 173,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.29.23.024) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გასხვისებული (პრივატიზებული) იქნა აუქციონის წესით. შემდგომში გაერთიანებული 1242,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი №05.29.23.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია შპს „პ08“-ს საკუთრებაში. ხოლო ქ. ბათუმში, შ. დადიანის ქ. №3ა-ში (ყოფ. მაიაკოვსკის ქ. №55/17) მდებარე 87,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით აღიარებული იქნა ტარიელ ჩიხლაძის საკუთრებაში. (საკუთრების უფლების მოწმობა №2344, 30.05.2013). 2021 წლის 19 თებერვალს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445539524) საკუთრების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ქ. ბათუმში, შალვა დადიანის ქუჩის გაფართოებისა და ტროტუარის მოწყობის სამუშაოები, რისთვისაც საჭირო გახდა შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445539524) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029; 05.29.23.013) ნაწილის გამოყენება, გამომდინარე აქედან კი აღნიშნული მიწის ნაკვეთების რეგისტრირებული საზღვრების ცვლილება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოებიდან

გამომდინარე, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა განხორციელდეს შპს „პ08“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445539524) საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 1242,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029) და ქ. ბათუმში, შალვა დადიანის ქ. №3ა-ში მდებარე 87,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.031) კონფიგურაციის რაციონალური შეცვლა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში მდებარე შიდა სატრანსპორტო გზის, შალვა დადიანის ქუჩის გაფართოების და ტროტუარის მოწყობისათვის, ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55/17-ში მდებარე 1242,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.029) და ქ. ბათუმში, შალვა დადიანის ქ. №3ა-ში მდებარე 87,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.23.031) კონფიგურაციის რაციონალური შეცვლა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე